სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება№ 1
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. ქუთაისი 3 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „აქტიკი"-ის დირექტორის ირაკლი რუხაძის (შემდგომში – შემსრულებელი) და მეორეს მხრივ, სსიპ ქუთაისის №2 საჯარო სკოლის (შემდგომში – დამკვეთი) დირექტორის სალომე სარალიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ ქუთაისის №2 საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით ელექტრონული ტენდერის უზრუნველყოფის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით ვათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. CPV 79418000

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სსიპ ქუთაისის №2 საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით ელექტრონული ტენდერის უზრუნველყოფის შესყიდვა

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტის ლარის საშუალებით,

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს -150- (ასორმოცდაათი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 25 თებერვლამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გ.ტაბიძის №58

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება ჩაბარების აქტი)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებელისა და დამკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით ლარით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო გარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. დამკვეთი ვალდებულია: